

၉၈၈၅၅

მედიკალიზაცია



პ. ლ. ცხივერიძე

მედიკალიზაცია



პ. ლ. ტრევერსი
მერი პოპინსი

P. L. Travers
MARY POPPINS

ინგლისურიდან თარგმნა
ლელა დუმბაძემ

ილუსტრატორი მერი შეპარდი

© 1981 by P. L. Travers
© 1934 by P. L. Travers
© renewed 1962 by P. L. Travers
All rights reserved.

წიგნი გამოიცა გამომცემლობა „პალიტრა L-თან“ თანამშრომლობით.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2021
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-695-7

[www. diogene. ge](http://www.diogene.ge)

პუბლიკი დედას
1875-1928

სარჩევი

I ზენა ქარი	11
II დასვენების დღე	28
III სიცილის აირი	42
IV მის ლარკის ენდრიუ	63
V მოცეკვავე ძროხა	79
VI მძიმე სამშაბათი	99
VII მეჩიტუნე ქალი	126
VIII მისიზ კორი	137
IX ჯონის და ბარბარას ამბავი	163
X სავსე მთვარე	181
XI საშობაო საყიდლებზე	213
XII ქვენა ქარი	233

I

ზენა ქარი

თუკი ალუბლების ქუჩას ეძებთ, იცით, რა უნდა ქნათ? გზაჯვარედინზე მდგომ პოლისმენტან უნდა მიხვიდეთ და ჰკითხოთ – სულ ესაა. პოლისმენი ჩაფხუტზე წაივლებს ხელს, ოდნავ გვერდზე მოიქცევს, ჩაფიქრებული, თავს მოიქეჩავს, თეთრხელთათმანიან უზარმაზარ თითს გაიშვერს და გეტყვით: „ჯერ მარჯვნივ შეუხვიეთ, მერე – მარცხნივ, შემდეგ – ისევ მარჯვნივ და სწორედ იქ აღმოჩნდებით. ბედნიერ დილას გისურვებთ!“

თუ მის მითითებებს ზუსტად შეასრულებთ, ეჭვი არ შეგეპაროთ, აუცილებლად მოხვდებით იქ, სწორედ იმ ალუბლების ქუჩაზე, სადაც ცალ მხარეს სახლებია ჩამწკრივებული, მეორე მხარეს პარკია, მათ შორის კი ალუბლის ხეებს გაუმართავთ ფერხული.

თანაც თუ ჩვიდმეტ ნომერს დაეძებთ – და ალბათ, ასეც არის, რადგან ეს წიგნი სწორედ ამ სახლზე მოგითხრობთ

– მაშინ მას სულ მალე მიაგნებთ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამ ქუჩაზე ეს ყველაზე პატარა სახლია; მეორეც, იმით გამოირჩევა, რომ, ცოტა არ იყოს, გახუნებულია და ერთი პირი საღებავის გადასმა არ აწყენდა. მაგრამ იცით, რა უთქვამს მის მეპატრონე მისტერ ბენქსს თავისი მეუღლისთვის? შემიძლია ან ერთი კოჰნია და მყუდრო სახლი შევინახო, ან ოთხი შვილი, ორივეს ერთად კი ვერასგზით ვერ გავწვდებიო.

ჰოდა, მას შემდეგ, რაც მისიზ ბენქსმა ეს საკითხი გულდასმით განიხილა, ასე განსაჯა: მირჩევნია მყავდეს ჯეინი – უფროსი, მომდევნო – მაიკლი და ნაბოლარა ტყუპები, ჯონი და ბარბარაო. აი, ასე ამოყვეს თავი ბენქსებმა ჩვიდმეტ ნომერში, სადაც სადილს მისიზ ბრილი ამზადებდა, სუფრას ელენი შლიდა, რობერტსონ ეი კი ბალახს კრეჭდა, დანა-ჩანგალს აპრიალებდა, ფეხსაცმელს წმენდდა და მისტერ ბენქსს, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, სულ ტყუილად ახარჯვინებდა დროსა და ფულს.

ამათ გარდა იყო კიდევ ძიძა ქეითი, რომელიც, მართალი გითხრათ, ამ წიგნში მოხსენიების ღირსიც კი არაა, რადგან იმ დროისათვის, რომელზეც მე ვიამბობთ, ბენქსების სახლიდან უკვე წასული იყო.

– არ დაგვმშვიდობებია და სიტყვაც არ დასცდენია, წასვლას ვაპირებო. ახლა რაღა ვქნა? – ჰკითხა მისიზ ბენქსმა ქმარს.

– განცხადება უნდა გამოაქვეყნო, გენაცვალე, – მიუგო მისტერ ბენქსმა და ფეხსაცმლის ჩაცმა განაგრძო. – მე კი, იცი, რას ვნატრობ? ნეტა რობერტსონ ეიც ქეითივით გაუფრთხილებლად გაუჩინარდებოდეს. შეხედე, ისევ ცალი ჩექმა გაუნმენდია, მეორისთვის კი ხელიც არ დაუკარებია. ღმერთო, რას ვემგვანები დღეს!

– აი, ეგ კი, – უთხრა მისიზ ბენქსმა მეუღლეს, – სულაც არ არის მნიშვნელოვანი. ჯერ ის მითხარი, რა ვუყო ძიძა ქეითის?

– არ მესმის, რა უნდა უყო იმ ადამიანს, რომელიც გაუჩინარდა, – მიუგო მისტერ ბენქსმა, – მაგრამ შენ ადგილას... იცი, რა? ვინმეს ვთხოვდი, „დილის გაზეთში“ განცხადება გამოექვეყნებინა, რომ ჯეინ, მაიკლ, ჯონ და ბარბარა ბენქსებს (დედიკოზე რომ არაფერი ვთქვათ) ამქვეყნად საუკეთესო ძიძა ესაჭიროებათ, უმცირესი ანაზღაურებით და თანაც დაუყოვნებლივ. მერე კი დაველოდებოდი და ვნახავდი, როგორ დადგებოდა ძიძების რიგი ჩემი სახლის სადარბაზოსთან; გასაუბრებაზე მოსულ ძიძებს ძალიან მკაცრად გაგვიცხავდი, რომ ქუჩაში მოძრაობა შეაფერხეს და ამ ალიაქოთის გამო პოლისმენისთვის ერთი შილინგის გადახდა მომიხდა. ახლა კი უნდა წავიდე. როგორ ცივა, ჩრდილოეთ პოლუსი გეგონება. საით უბერავს ქარი?

ამის თქმისთანავე მისტერ ბენქსმა თავი ფანჯარაში გაყო და ადმირალ ბუმის სახლს გახედა, ქუჩის კუთხეში.

აღუბლების ქუჩაზე ეს ყველაზე დიდებული სახლი იყო და მთელი ქუჩა ძალიან ამაცობდა იმით, რომ მას ნამდვილი გემის ფორმა ჰქონდა. ბაღში ფლაგშტოკი იდგა, ხოლო შენობის სახურავს მოოქრული ფლუგერი ამშვენებდა, ნამდვილი ტელესკოპის ფორმისა.

– აჰა! – შესძახა მისტერ ბენქსმა და თავი სასწრაფოდ ისევ ოთახში შემოყო. – ადმირალის ტელესკოპი გვამცნობს, რომ ზენა ქარი უბერავს. მეც სწორედ ამას ვვარაუდობდი. ყინვა პირდაპირ ძვლებში ატანს. ნამდვილად ორი პალტო უნდა ჩავიცვა. – მერე დაბნეულად აკოცა



ცოლს ცხვირზე გვერდიდან, ბავშვებს ხელი დაუქნია და სიტიში წავიდა.

უნდა მოგახსენოთ, რომ სიტიში, ლონდონის საქმიან ცენტრში, მისტერ ბენქსი ყოველდღე დადიოდა, თუ, რა თქმა უნდა, კვირადღესა და ბანკის უქმეებს არ ჩავთვლით. იქ კი იჯდა ვეება სკამზე ვეება მაგიდასთან და ფულს აკეთებდა. დილიდან საღამომდე მუშაობდა, ჭრიდა და ჭრიდა პენსებს, შილინგებს, ნახევარკრონიანებსა და სამპენსიანებს. მერე კი ის ფული პატარა შავი ჩანთით შინ მიჰქონდა; დროდადრო ჯეინსა და მაიკლს თავიანთ ყულაბებში ჩასაყრელად აძლევდა, და თუ სახარჯო ფული შემოაკლდებოდა, ბანკი გაკოტრდაო, იტყოდა ხოლმე. ყველა ხვდებოდა, რომ მისტერ ბენქსს იმ დღეს ბევრი ფული ვერ გაეკეთებინა.

ჰოდა, იმას ვამბობდი, რომ მისტერ ბენქსი წავიდა და თავისი შავი ჩანთაც წაიღო, მისიზ ბენქსი კი სასტუმრო ოთახში შევიდა და მთელი დღე გაზეთებისთვის გასაგზავნ წერილებს წერდა. ევედრებოდა, დაუყოვნებლივ გამომიგზავნეთ ძიძები, სულმოუთქმელად ველი მათ მოსვლასო. ჯეინი და მაიკლი ზედა სართულზე, საბავშვო ოთახში ფანჯარასთან იდგნენ, გარეთ იყურებოდნენ და ფიქრობდნენ, ნეტა ამჯერად ვინ გამოგვეცხადებაო. ძალიან უხაროდათ, რომ ძიძა ქეითი წავიდა – იმიტომ, რომ ძალიან არ მოსწონდათ. ქეითი ბებერი და მსუქანი იყო, თან ქერის ნახარშის სუნი ასდიოდა. ოღონდაც ქეითი ნუ

იქნება და ვინც გინდა, ის მოვიდესო, ნატრობდნენ ბავშვები, ქეითიზე ბევრად უკეთესი ხომ მაინც იქნებაო.

როცა მოსალამოვდა, ოთახში მისიზ ბრილი და ელენი შევიდნენ, რომ და-ძმა ევახშმებინათ და ტყუუბებიც ებანავებინათ. მერე, ნავახშმევს, ჯეინი და მაიკლი ფანჯარას მიუსხდნენ, რომ მისტერ ბენქსის შინ დაბრუნება არ გამოჰპარვოდათ. ყური მიუგდეს ზენა ქარს, ქუჩაზე ჩამწკრივებული ალუბლის ხეების შიშველ ტოტებში რომ ზუზუნებდა. ხეები კი ისე იგრიხებოდნენ და იკლაკნებოდნენ სალამოს ბინდბუნდში, თითქოს ჭკუიდან შემლილიყვნენ და ფერხულს უვლიდნენ, გეგონება სურდათ, ცეკვა-ცეკვით ფესვებიანად ამომძვრალიყვნენ მინიდან.

– აგე, მამა! – თქვა მაიკლმა და თითი გაიშვირა სილუეტისკენ, რომელიც ქარმა ჭიშკარს მიახეთქა. ჯეინმა სიბნელეში გაიხედა.

– ეგ მამა არ არის, – უთხრა მაიკლს, – ვილაც სხვაა.

მერე სილუეტმა, რომელიც ქარმა ისევ შეაქანა, ჭიშკრის ურდული გადასწია და ბავშვებმა დაინახეს, რომ ეს ქალი იყო, ცალი ხელით თავზე ქუდს იმაგრებდა, მეორეში კი ჩანთა ეჭირა. ბავშვები გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს ახალმოსულს და ხვდებოდნენ, რომ მათ თვალწინ უცნაურზე უცნაური რამ ხდებოდა. როგორც კი ქალმა ჭიშკარი გამოიარა, ქარმა ის თითქოს ჰაერში აიტაცა და სახლისკენ გადმოისროლა; ანუ ქარმა თავიდან ჭიშკარს მიახალა, მერე თითქოს დაელოდა, რომ ურდული გადაე-



ნია, შემდეგ კი ჩანთიანად და მთელი თავისი ავლადიდებ-
ბიანად ზევით აიტაცა და სახლის კარს მიანარცხა! როცა
ქალი მინაზე დაეშვა, მოთვალთვალე ბავშვებს საშინელი
გრგვინვა მოესმათ და სახლი ერთიანად შეზანზარდა.

– საოცრებაა! ასეთი რამ არასოდეს მინახავს! – თქვა
მაიკლმა.

– წამო, ვნახოთ ერთი, ვინ მოვიდა! – უთხრა ჯეინმა
ძმას, ხელი ჩაჰკიდა და კიბის ბაქანზე გაიყვანა. აქედან
მშვენივრად მოჩანდა ყველაფერი, რაც წინკარში ხდებო-
და.

მალე ბავშვებმა დაინახეს, როგორ გამოვიდა დედა
ახალმოსულის თანხლებით სასტუმრო ოთახიდან. შეამ-
ჩნიეს, რომ ქალს შავი მბზინავი თმა ჰქონდა.

– ხედავ, როგორ ჰგავს ჰოლანდიურ თოჯინას, – წას-
ჩურჩულა ჯეინმა მაიკლს, – რა გამხდარია, რამხელა
ტერფები და ხელები აქვს, და წვრილი ცისფერი თვალები.

– მალე დარწმუნდებით, რა კარგი ბავშვები არიან, –
მოესმათ მისიზ ბენქსის ხმა.

მაიკლმა ერთი მაგარი მუჯღუგუნე უთავაზა ჯეინს
ნეკნებში.

– ნახავთ, როგორი დამჯერები არიან, – განაგრძობდა
ის ახლა უფრო თავშეკავებით, თითქოს საკუთარი ნათ-
ქვამის თავადაც არ სჯეროდა. ბავშვებმა გაიგონეს, რო-
გორ ჩაიფრუტუნა სტუმარმა, თითქოს არც მას სჯეროდა
მისიზ ბენქსისა.

– ახლა კი, რაც შეეხება რეკომენდაციებს... – განაგრძო მისი ბენქსმა.

– აჰ, რას ბრძანებთ, წესად გავიხადე, რეკომენდაციებზე არ ვიზრუნო, – მტკიცედ წარმოთქვა ახალმოსულმა.

მისი ბენქსი გაოცებული მიაჩერდა.

– როგორც ვიცი, ეს ჩვეულებრივი ამბავია, – უთხრა მან, – ხალხი ყოველთვის ასე იქცევა.

– ძალიან ძველმოდური მოსაზრებაა, მე თუ მკითხავთ, – შემოესმათ მკაცრი ხმა მაიკლსა და ჯეინს, – ძალიან მოძველებული, სრულიად დრომოჭმული, როგორც იტყვიან.

აი ეს სიტყვები კი მწარედ მოხვდა გულზე მისი ბენქსს და ოლონდაც ვინმეს არ ეფიქრა, მოდას ჩამორჩაო, სასწრაფოდ მიახალა:

– კეთილი, შეგვიძლია ამაზე ფიქრით თავი აღარ შევიწუხოთ. მე ხომ მხოლოდ იმიტომ გკითხეთ, რომ... რა ვიცი, შეიძლება ეს... ჰმ... თქვენ თავად მოგეთხოვათ. საბავშვო ოთახი ზედა სართულზეა.

მისი ბენქსი სტუმარს კიბისკენ გაუძღვა, თან ლაპარაკი წამითაც არ შეუწყვეტია. იმის გამო, რომ ასე გართული იყო ლაპარაკით, არ შეუნიშნავს, რა ხდებოდა მის ზურგს უკან, მაგრამ ჯეინმა და მაიკლმა, რომლებიც კიბის ზედა ბაქანზე იდგნენ, შესანიშნავად დაინახეს სრულიად არაჩვეულებრივი რამ, რაც სტუმარმა გააკეთა.

ქალი, რა თქმა უნდა, ფეხდაფეხ მიჰყვა მისიზ ბენქსს, მაგრამ ისე არა, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე. უზარმაზარი ჩანთით ხელში, ის მოხდენილად ასრიალდა მოაჯირზე და ზედა სართულის კიბის ბაქანზე მისიზ ბენქსმა და სტუმარმა ზუსტად ერთდროულად შედგეს ფეხი. ჯეინმა და მაიკლმა მშვენივრად იცოდნენ, რომ ასეთი რამ არასოდეს არავის ჩაედინა. ჩასრიალება – კი ბატონო, ეს მათაც არაერთხელ უქნიათ, მაგრამ – ასრიალება? – არასოდეს! ბავშვები თვალებდაჭყეტილები მიაჩერდნენ ახალმოსულს.

– კეთილი, მამ, გამოდის, რომ ყველაფერი მოგვარდა, – შვებით ამოისუნთქა მისიზ ბენქსმა.

– სრული სიმართლეა. იმ პირობით, თუ მეც კმაყოფილი დავრჩები, – განაცხადა უცხო ქალმა და თავსაფრის მსგავსი დიდი თეთრ-წითელი ცხვირსახოცით მოიხოცა ცხვირი.

– უი, ბავშვებო, – თქვა მისიზ ბენქსმა, როცა მოულოდნელად შვილები შენიშნა, – თქვენ რალა გინდათ მანდ? აი, გაიცანით, თქვენი ახალი ძიძა მერი პოპინსი. ჯეინ, მაიკლ, მიესალმეთ სტუმარს. ესენი კი, – ხელი ტყუპებისკენ გაიშვირა, რომლებიც თავიანთ რიკულებიან საწოლებში იწვნენ, – ესენი ჩვენი ტყუპები არიან.

მერი პოპინსი დაკვირვებით დააცქერდა ჯერ ჯეინს, მერე მაიკლს, თითქოს გონებაში აფასებდა, მოსწონდა თუ არა ბავშვები.